# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №6-26

## 2017 წლის 10 აპრილი

## ქ. თბილისი

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:**

**„ლ) საკულტო ზონა – (საკზ)** მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ საკულტო გამოყენების ტერიტორიებს.“;

**2. მე-15 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

**„ჟ$^{1}$) სატრანსპორტო ზონა 3 (ტზ-3)** – წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს, სადგურებს (მათ შორის, აეროსადგურები, საზღვაო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები) და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფ სხვა საზოგადოებრივ სამყოფებს/სათავსებს კანონმდებლობის შესაბამისად.”;

**3. მე-15 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ ქვეპუნქტი:**

**„ყ) საკულტო ზონა (საკზ)** – საკულტო ქვეზონა მოცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ საკულტო გამოყენების ტერიტორიებს.“;

**4. მე-16 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ$^{1}$” ქვეპუნქტი:**

**„ჟ$^{1}$) ტზ-3 –** დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად;

| **განაშენიანების რეგულირების პარამეტრები** | | |
|---|---|---|
| კ-1 | - | კოეფიციენტი |
| კ-2 | - | კოეფიციენტი |
| კ-3 | **0,1** | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | - | ერთეული/ჰა |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | - | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | - | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | - | მეტრი |
| | | | |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | - | მეტრი |
| *შენიშვნა* | - | | |
| | | | |

**5. მე-16 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ" ქვეპუნქტი:**

**„ყ) საკზონა** – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებელობა, გარდა საკულტო ფუნქციის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა/სამყოფისა.";

**6. 31-ე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„3.** განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნული გამოითვლება ფორმულით

H=L / Y , სადაც:

ა) H წარმოადგენს განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

ბ) L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის;

გ) Y წარმოადგენს კოეფიციენტს.".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**